

საქართველო
0102-0101935



— ამდენ ძალადღეს რომ უწონი, არ აბვიუვირდეს!
 — მაგი ანონიმისტია, გვკრი ძალადღი სვირდება!

საქართველო

23-83

როცა საუბარი ჯანმრთელობაზე ჩამოვარდება, გულმოდგინედ ვარიგებთ ერთმანეთს: ბევრი უნდა ვიაროთ, ვირბინოთ და ჯანმრთელები ვიქნებითო! ამ ქვეყნად დარიგებაზე ადვილი არაფერია, თორემ, აბა, ერთი წამოსცდეს ვინმეს: ვიაროთ, ვირბინოთ, მაგრამ რით? თბილისური ფეხსაცმლით სიარული არ შეიძლება - სირცხვილია! ამავე ფეხსაცმლებით სირბილი ჯანმრთელობას თუ წაგვართმევს, თორემ სხვას არაფერს მოგვითქვანს! სპეკულანტისაგან ნაყიდი ფეხსაცმელი კი სარბენლად ნამეტანი ძნელი გასამეტებელია. და ეს მაშინ, როცა მარტო ვასულ წელს ქორტოგრაფიულმა საზოგადოებამ - 11.000, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებამ - 28.000, სპორტკომიტეტის საწარმოებმა - 39.000, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ - 40.000, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ - 305.000, ხოლო მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ - 14.731.000 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა. და მაინც ლამაზი, მოხერხებული ფეხსაცმელი დეფიციტია. ერთი სიტყვით, ჯანმრთელობის საგარანტიოდ სპორტის სხვა სახეობა უნდა ავირჩიოთ! მაგალითად, ყირაძალა სიარული შეღავტენსაც ამარებს, ფეხსაცმლებსაც ზოგავს. მაგრამ რამდენ ხანს ვიქნებით ყირაზე? ისევ დიდ დისტანციებზე ცურვა სჯობს! ამ წესით ადრევე ზოგავდნენ ფეხსაცმელს. აბა, რატომ გადაცურა ჯორჯ ბაირონმა ლამაზში, როცა საქმეებზე ინგლისიდან საფრანგეთში მიდიოდა? მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი იქცევა ბაირონისადა! დადიან გაუთავებლად! თბილისის „დინამომ“ თავის თასი აიღო - ერთი გულმემატიკური მოსკოვიდან თბილისში ფეხით, ე. ი. ფეხსაცმლებით ჩამოვიდა. ეზ კიდევ არაფერი დაიწყეს ფეხით სიარული მსოფლიოს ირგვლივ: ვიღაცამ უკიდგანო უდაბნო ფეხით გადასერა. ევერესტზე ამკვლელოთა რიგი დგას. სად არის ამდენი ფეხსაცმელი? ალბათ ამიტომ ამბობენ მწარმოებლები: ისეთი როდენობით ვუშვებთ ფეხსაცმლებს, ხარისხისთვის ვიხლა სცხელაო, ე. ი. დიდი გეგმა გვაქვსო. გეგმა კი რა არის? - ჩვენი მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქციაზე. თანაც რა თვისება აქვს ფეხსაცმელს ქუდი - ერთი, პალტო - ერთი, შარვალი - ერთი, ფეხსაცმელი - ორი. რას ვიზამთ? კიდევ კარგი, უკვე ორ ფეხზე დავდივართ, თორემ ადრინდელივით ოთხზე რომ გვევლო, მაშინ როგორ იქნებოდა ხარისხის საქმე? მაშინდელის რა მოგახსენოთ, ახლა კი, რბილად რომ ვთქვათ, ფეხსაცმლებია ხარისხი ერთობ არასახარბიელო!

ნათქვამი ზოგადი ხასიათისა რომ არ გამოგვივიდეს, დავასახელოთ ფაქტები: მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ მარშან გამოშვებული პროდუქციიდან 482.194 წყვილი ფეხსაცმელი წარმოებას დაუბრუნდა, ხოლო 5.800 წყვილი გადაყვანილია დაბალ ხარისხში. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ისანს“ დაუბრუნდა 232.600, გადაყვანილია დაბალ ხარისხში 1.100 წყვილი; ფაბრიკა „ნარიყალას“ დაუბრუნდა 21.800 წყვილი, სამოდლო ფეხსაცმლების ფაბრიკას - 7.490 წყვილი, ქუთაისის კომბინატს - 129.141 წყვილი. ბათუმის ფაბრიკისა და სოხუმის

გ. პეტრიაშვილი გ. კახიანი

**ვიაკოთ!
ვიკოპიოთ!
მავსაჲ
ჩით?**



კომბინატის კოლექტივებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს არ აწყენინონ, ამიტომ თითო-ეულმა მათგანმა 45.582 წყვილი უხარისხო ფეხსაცმელი გამოუშვა და უკანვე მიიღო.

ახლა ერთი რამ ვიკითხოთ: რომელი ფეხსაცმლებიც უკან არ დაუბრუნეს წარმოებას, აქამოფილებს მომხმარებელს? ხელაღებით რომ ვთქვათ, ოდნავადაც არაო, ამის უფლება არა გვაქვს სათანადო საბუთების გარეშე, მაგრამ ვაი, რომ საზოგადოებრიობის აზრი ყოველგვარ დოკუმენტაციაზე ძლიერია და თუ როგორი შეხედულება აქვს მას ამ საკითხზე, ამის შესახებ შესანიშნავად მეტყველებენ მაღაზიაში არსებული არარეალიზებული ფეხსაცმლები.

პროდუქციის როდენობის თვალსაზრისით რესპუბლიკაში მეორე ადგილზეა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ფეხსაცმლების ინდუკტრის სამმართველო. შეიძლება ითქვას,

რომ აქაური ფეხსაცმელი რამდენადმე უკეთესია საფაბრიკო პროდუქციისაგან შედარებით და ეს ალბათ იმიტომ რომ მომხმარებელი და მწარმოებელი ერთმანეთის პირისპირ დგანან და თავიანთ პრეტენზიებს ადგილზევე არაკვებენ. პასუხისმგებლობის განსხვავებული გრძნობა, საქმისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქ აშკარა კონტრასტებს გვთავაზობს. შედარებით მოსაწონია №2 ატელიეში (მოდელიორი - გ. ბურჭულაძე) შეკერილი პროდუქცია, მაშინ როცა ამავე სისტემის №№ 5, 8 და 20 ატელიეებში გამოშვებულ ფეხსაცმლებში ჩასაფენი დაბაშის კონტურები არ ემთხვევა ძირითადი დაბაშის კონტურებს, ქუსლის არეში ხშირად არ არის რბილი ქვესაფეხი, უხარისხოდ წარმოებს მარკირება, ყველაფერი ეს კი პროდუქციის კუსტარულობისა და უგემოვნობის დღას ასვამს.

ფეხსაცმელს წუნი რომ უპოვო, უნდა აიღო ხელში და დაკვირვებით დაათვალიერო, შეხედო ყოველი მხრიდან, ხოლო უფრო კარგად რომ გაარკვეო წუნის მიზეზი, ფეხსაცმელს უნდა აარიდო მზერა, მის იქით გაიხედო და მაშინვე შენიშნავ, რომ თურმე უხარისხობის მიზეზი მარტო მწარმოებელი არ ყოფილა.

აღმოჩნდება, რომ უხარისხობის საქმეში თავის არცთუ ისე მოკრძალებულ სიტყვას ამბობს მანქანა-იარაღების ტექნიკური მდგომარეობა, ნედლეულის ხარისხი და სხვა.

ამიტომაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებების კონკრეტული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქციებს, მანქანა-დანადგარების ტექნიკურ ხელახლა შეიარაღებას, ასორტიმენტის შეცვლა-გაფართოებას.

იმედი გვაქვს, რესპუბლიკის მეფეხსაცმლები ამ ქმედით ღონისძიებებს შეძართული შრომით უპასუხებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი მომხმარებელი არასდროს დაფიქრდეს ამ კითხვაზე: ვიაროთ, ვირბინოთ, მაგრამ რით?!



— რამ დაგაწყებინა სირბილი?
— სპორტული ტანსაცმლის ძებნამ!

ნ. ა. ამაშუკელი

ჩინი

ქრონიკულ ავადმყოფობათა სამყაროდან

მიმდინარე წლის ერთ უქარო დღეს ქარელიდან ეწვია ნიანგს ხელჯობიანთა, ყავარჯნიანთა, წელშეხვეულთა, წელკავიანთა, ნიკრისის ქარიანთა, წითელქარიანთა, საერთოდ სახსრებქარიანთა დელეგაცია და გადასცა შემდეგი შინაარსის საპროტესტო ნოტა:

„1979 წლის ზაფხულში ნიანგმა დაარღვია რა უსაფრთხოების ყველა წესი, ფიწალი გაგვიყარა წელში. თანაც მთლად უდანაშაულო ხალხსა. უღრუბლო ცაზე მუხის გავარდნასა ჰგავდა მისი გამოჩენა, ბომბივით ჩამოვარდა ხვედურეთის თბილი წყლების აკვატორიაში. და ის მშვენიერი აბანოი თავის სამკურნალო ეფექტებითა ერთის დაკვრით გაგვიცამტვერა.

სამკურნალო წყლებში ნიანგის ასეთმა უბოდიშო ცურვამ, წყლის ამღვრევამ, აბანოს დანგრევამ და ამით გამოწვეულმა ზიანმა იშხიანთა, რადიკულიტიანთა და წელკავიანთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

ვაცხადებთ რა პროტესტს ასეთი უბოდიშო ჩარევისათვის ჩვენს სამკურნალო საქმეებში, კატეგორიულად მოვითხოვთ აბანოს აღდგენას!“

გაეცნო რა ამ ნოტას, ნიანგს აუცილებლად მიაჩნია, განაცხადოს შემდეგი:

1979 წელს იმად გავსარჯე ჩემი ფიწალი, რათა დამედგინა, სამკურნალო იყო თუ არა თერმული წყალი და, რაც მთავარია, ვის მიჰქონდა აბანოს შემოსავალი. ეს იყო და ეს.

აბანო, რომელიც იმ დროს კოლმეურნეობის ბალანსზე იჯდა და არა მარტო იჯდა, მუშაობდა კიდევ და შემოსავალსაც იძლეოდა, ამასთან სანეპიდსადაგურის მიერაც მიჩნეული იყო ვარგისად, თუ ნახმარი წყლისა და ფეკალური მასისათვის ცალ-ცალკე ღრმა ორმოები მოეწყობოდა, ამჟამად მინგრეულ-მონგრეული და გაძარცვულ-დაბინძურებულია, ხოლო მის გვერდით თბილი გუბე იორთქლება, რომელიც ავადმყოფი ადამიანების გარდა კარგამყოფ ღორებსაც იზიდავს... ვითა წუმბე!


აბანოს საბალანსო ღირებულებიდან (5.477 მანეთი) აღარაფერი დარჩენილა და არც მის ამშენებელსა და ყოფილ გამგეს მიუღია კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ დადგენილი სარგო - 5.361 მანეთი.

ამჟამად ხვედურეთის კოლმეურნეობის გამგეობასა და რაიონის საპროექტო ბიუროს შორის მიმოსწერაა იმის თაობაზე, შენობა უფრო უწინ ჩნდება თუ პროექტი (ქათმისა და კვერცხის წარმოშობის ვარიანტი), თუ პროექტი არ არის, ხოლო შენობა არის, შეიძლება თუ არა მისი რემონტი?

ამ მიმოსწერაში არის იმის წანამძღვრები, რომ ეს დავა უსასრულოდ გაგრძელდება!..

სხვაფრივ კარგად ბრძანდებოდეთ! აბანოს აგებამდე არაფერი გეტკინოთ!

ე. მერაბიშვილი



უსიტყვოდ

ტირის უფლისციხის ხიდი!..

ხიდი უფლისციხის პირას, მტკვარს რომ უღელივით ადგა, სწორედ ამ ხუთი წლის წინათ წყალში ქუმელივით ჩატყდა!.. თავში შემოიკრეს მაშინ ხიდის მშენებლებმა თურმე, სიზმრებს ხედავდნენო სამიშს და იმ სამართლის ურემს!..

მერე მწუხარების ჟამი მწარე მოგონებებს შესწყდა და მტკვარს ბურჯ-საყრდენის ტანი ბებრის კბილებივით შერჩა!.. ახლა ჩატეხილი ხიდი წყალში შიშველ წვივებს იბანს, ჯავრი აწუხებსო დიდი, წყევლის წუთისოფლის იღბალს!..

ტირის, დაეკარგა სადღაც ხიდის მშენებელთა კვალი!.. იქნებ მოვიდნენო ხვალაც, შესანდობარისთვის მაინც!.. და თუ დაუბრუნდნენ ისევ, ახალს ჩაიგვამსო ხალათს! ნეტავ ეღირსება მტკიცე ხიდი ქართლის ამ ძველ ქალაქს?!

ვალერიანე გაბუჯალაშვილი



მილი, გლანლირი!

იუმორისკა

ქვემოთაშენი
გიგლირთიქს

რედაქციაში ახალი რუბრიკის საკითხი წყდებოდა. „ვიცინოთ თუ... ვიტყვი?“ – ასე არქმევდნენ. ამაზე მსჯელობდნენ ახლა.

– რიტორიკაა მხოლოდ, – თქვა ერთმა ლიტმუშაკმა, – კითხვაც არ უნდა, სიცილი სჯობს. რა თქმა უნდა, თუ საცინლად გაქვს საქმე.

– და არა დასაცინად! – მოჩვენებითი ქედმაღლობით განაგრძო მეორემ.

– სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებსო, წერდნენ კიდეც, – ჩაურთო მესამემ და ჟურნალის გარეკანს დახედა. ნიანგის ცრემლების კალამბური თუ გაახსენდა.

– არაფერი ფასი არა აქვს მაგას, გინდ ვიტყვია და გინდ ვიცინია ზოგჯერ. – არ ეთანხმება მეორე და ჟურნალის გარეკანზე მიუთითებს. – ვითომ არის რამე განსხვავება?

– გადამყვა ლევანიჩი, – ჩაერია უცებ საუბარში მეოთხე და სიმწერის ნერწყვი გადაყლაპა, – გადამყვა...

– რა შუაშია ლევანიჩი? – სათვალეების ზემოდან გადმოიხედა პირველმა.

– შუაში კი არა, აქ არის, აგერ – ყელში, – გასიებული ყელზე მიიღო ხელი მეოთხემ, – და ეგ ამბავიც ჩემზეა სწორედ... მართლა არ ვიცი, ვიცინო თუ ვიტყვი.

– ნურც ვიცინებ და ნურც იტირებ, შენს ხელთ არაა? – გაუკვირდა მეორეს.

– და ნურც ილაპარაკებ, ესაა მთავარი, – ურჩია მესამემ, – შენ ახლა ბევრი ლაპარაკი გაწყენს!

– ვითომ მარტო მაგას? – სასხვათაშორისოდ ჩაურთო ისევ მეორემ.

– არა უშავს, დასვენე ენა. პატარა შვებულება მაგასაც არ აწყენს, – შეეხუმრა ახლა მეორე, – აბა, რომ დაფჩინე ეს პირი ამხელაზე და გლანდები, გლანდებიო, იძახდი, სხვისი ხომ არ გეგონა?

– ლევანიჩის ბრალია, – სიმწერის ცრემლები გადმოცვივდა ახლა უკვე უგლანდებოს, – არაფერიო, ვერც გაიგებო!..

– ჯერ ერთი, ლევანიჩი კი არა, გლანდინი. – და გაკვირვება რომ შეატყო მოსაუბრეებს, განმარტა: – მეტსახელად შევარქვით ასე, რადგან მამამისიც გლანდების ექიმი იყო.

– არის ასეთი ექიმი? – გაუკვირდა პირველს.

– ფულის წყაროა ასეთი, ზოგ-ზოგისთვის, რა თქმა უნდა! – მრავალმნიშვნელოვნად გადახედა

მესამემ, – ვააღებ პირს, ვაგვიკეთებენ ნოვოკაინის ბლოკადას, დაგრჩება პირი დაფჩინილი, ასე, ა...ლლაგვივით და იყავი მერე კარგად...

– პირი უნოვოკაინოდაც საკმაოდ ხშირად გვაქვს დაფჩინილი, – შეუსწორა მეორემ.

– არა, ეს სხვა სიტუაციაა, – განმარტა ისევ იმ პირველმა, გამოცდილ კაცს რომ შეეფერება, ისეთი დაბეჯითებით. – პირის ეს დაფჩენა, ძმაო, ერთი ხუთი თუმანი მაინც ღირს. იქით უნდა მისცე. ამაშია სხვაობა. პირსაც შენ აფჩენ და ფულსაც შენ იხდი.

– ხუთ თუმანს?

– ა... ნწუ, – ძლივს ამოღერდა უგლანდებომ. ისევ რის ვაი-ვაგლანით გადაყლაპა ნერწყვი და მერე ჩანრინწული ხმით ძლივს ამოთქვა: – ეგ... გლანდებზეა დამოკიდებული!

– სწორია, – შეეშველა მესამემ, – აგერ, ამას რომ ჩახედა ექიმმა პირში, ხუთთუმანიანი გლანდებიო, უთხრა, იმხელეზიო...

– ხუთთუმანიანი დაფარავს ნაღდადო, – ისევ უგლანდებომ აიღო სიტყვა, და მერე ხაზგასმით დამარცვლა: – თი... თოს...

– მერე?


– მერე რა, მერე არაფერი, – ოპერაცია! ექიმი თავზე დაგადგება და გადაგყვება, – განმარტა მესამემ, – აგერ, ა, სულიკოვეჩის ექიმი. ჯერ ხომ ამოჭრა გლანდები, მერე პალატაში მთელი საღამო თავზე ადგა, როგორა ხართ, აქაურობა ხომ არ გეჩოთირება-

თო? არადა, რა იყო საჩოთირო? სუფთა, კამკამა პალატა, კრიალა. არა, კი მინახავს ამისთანა თეთრი თეთრეული! კონდიციონერი, ტელევიზორი, ყურადღება... რა ვიცი... ჩემი თავი მართლაც კინოში მეგონა. გვიანი იყო უკვე, სახლში რომ წავიდა, მაგრამ რა გინდა, მერეც არ მიუნებებია თავი, – განაგრძობდა მესამემ, – ღამით ერთი სამჯერ მაინც დარეკა სახლიდან საავადმყოფოში, რას შვრება ავადმყოფი, ხომ არ წუხს, ხომ არ მოვიდეთ! ამისთანა ექიმი არ მინახავს.

კი, ასე იყო, – ძლივს ამოიღო ხმა უგლანდებომ. თვალებიდან სიმწერის ცრემლი ჩამოუგორდა.

– რა იყო, შე კაი კაცი! ზოგი საკუთარ შვილს არ ტირის ასე, ხომ არ უნდა გადაჰყვე მაგ გლანდებს? – სცადა გახუმრება პირველმა, მესამემ კი განაგრძობდა:

– დილაუთენია დაგვადგა თავზე, ექვსი საათი იქნებოდა. სულიკოვეჩის ეძინა. დახედა, მაჯა გაუსინჯა, მერე სხვა პალატებში გავიდა, სხვა ავადმყოფები ნახა. ერთი-ორჯერ კიდეც შემოიხედა, როგორ არის, საჭმელი ხომ არ დაგავიწყდათ, სახლიდან ჩემებს რამეს მოვატანინებო! ყველაფერი გვექონდა და ტყუილად ხომ არ გავაწვალდებით?! თუმცა სახლში დარეკვა მაინც ჩაიუადა: ერთი ავადმყოფი რომელიღაც სოფლიდან იყო ჩამოსული და შეწუხდა ექიმი, მაგას ნამდვილად დაუგვიანებენ რძეს და კისელს, ჩემებს მო-



– ა. შენ რეცეპტი და გავარდი შავ ბაზარზე!..

ვატანინებო. მართლაც, დარეკა და ნახევარ საათში ყველაფერი მოუტანეს სახლიდან...

პირველ და მეორე მოსაუბრეს უკვე პირი ჰქონდათ დაღებული. ეტყობა, ან არ დაიჯერეს ეს ამბავი, ან გლანდები მათაც აწუხებდათ და სავლანდროდ ამთავითვე ემზადებოდნენ.

— მერე?..

— მერე იყო, რაც იყო, — ისევ ძლივს ამოთქვა მეოთხემ, — არ...

— არ მოეშვა, კაცო, აქამდე, — შეეშველა ისევ მესამე, — დღეში ორჯერ ურეკავს. ან თავისთან იბარებს კონსულტაციას, დააფჩინებებს პირს და ჩაშტერებია შივ, რაღაცას წაუსვამს ხოლმე. მერე ისევ იბარებს, ათი დღეა აგერ უკვე...

— ფული... მიეცით? — რაღაც იჭვნულად ჩაეკითხა პირველი.

— აა... არ აიღო, არ ვარ მაგის კაციო, — თქვა მეოთხემ, — სხვ...

— სხვებისაგანაც არ აუღია. ფული რად მინდა, ოღონდ თქვენ კარგად იყავით და გლანდების დაცლა ჩემზე იყოსო. გლანდებსაც თქვენ იჭრით, ყელგამოღადრულივით მთელი ვკირა თქვენ უნდა იართო და ფულიც თქვენ იხადოთო? არა, ეს... ამორალურიო, — ასე თქვა პირდაპირ.

— მაგის ოჯახი ააშენა ღმერთმა! ორდენი აქვს? — ისევ იკითხა მეორემ, თითქოს ახლავე თვითონ წერდა ბრძანებულებას.

— იაპონური აპარატი აქვს რაღაც, უსისხლოდ აკეთებს თურმე ოპერაციას.

— ხელიც კარგი აქვს, — დაბეჯითებით თქვა მესამემ და თანაგრძნობით შეხედა მეოთხეს, რომელსაც ყელზე წაეველო ხელი და თვალებს საწყლად აფახულებდა.

სწორედ ამ დროს ტელეფონი აწვრიალდა. სულიკოვეიჩი შეკრთა, ლამის სკამზე შეხტა ანაზდად. ჯერ აპარატს შეხედა შიშით, მერე ისევ ყელზე წაივლო ხელი. ყურმილი კი იმ მესამემ აიღო, წელან ასეთი დაწვრილებით რო ყვებოლა გლანდების ამოჭრის ამბავს. მერე სულიკოვეიჩს მრავალმნიშვნელოვნად ანიშნა, შენ გკითხულობენო. ფერი ეცვალა უგლანდებოს, ხელები მოისრისა ნერვულად, ძლივს მილასლასდა ტელეფონთან, ცივად აიღო ყურმილი, მეორე ხელი ყანყარატოზე მიიღო, იდაყვით ჩამოიწმინდა შუბლზე სიმწრის ოფლი და თითქოს მართლაც განწირული ხმით, საცოდავად, საბრალოდ ჩასძახა თუ ჩაასრინწა ყურმილს:

— გისმენთ, ექიმო!..



მედიკალი
ზინაიროსკოპი

სა. ჯ. ლოსკინა
— ამდენ ხანს უსაქმურს ეძახოდნენ, ახლა ხელსაწყოებს, ოსტატის წოდება მიიღო!

უშველება რამე?

ახალციხის რკინიგზის სატვირთო სადგურის მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტები და ფეხით მოსიარულენი თავბედს იწყევლიან, რადგან კილომეტრ-ნახევრის სიგრძის ეს გზა დანგრეულია, თან აქ ვაგონებიდან ქვანახშირს ცლიან, რის გამოც გადასასვლელი საათობით დაკეტილია. ცდებიან ადამიანები, ტრანსპორტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-იარაღები. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია რკინიგზის სატვირთო სადგური, ცეკავშირის სარაიონთაშორისო სავაჭრო საბითუმო ბაზა, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის სასაწყობო მეურნეობები, სადაც ყოველდღიურად მსუბუქი ავტომანქანების გარდა ჩაივლის 600-მდე სატვირთო ავტომანქანა. ოღროჩოლო, დანგრეული გზის შემკეთებელი კი არავენ ჩანს!..

მაგრამ, სანამ გზის ვაკეთებას საშველი დაადგებოდეს, ახალცი-

ხის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობამ მესხეთ-ჯავახეთის რაიონებისათვის განკუთვნილი ქვანახშირის ამ გზაზე დაცლა კატეგორიულად უნდა აკრძალოს. ამისთვის რკინიგზის ჩიხებში ცალკე უნდა გამოიყოს თავისუფალი ადგილი.

გზაზე გუდრონი თუხთუხებს, ზედვე აწყვია მილებიც, ინერტული მასალის გორებია აღმართული, აქვე იცლება ცემენტიც, (ვაგონის დაცლისას ტონა ცემენტი მუქთად იყრება) ასე რომ, გზის საშენი მასალა არსაიდან მოსატანი არ არის. მაგრამ უშველება კი საქმეს რამე? საინტერესოა, ამ კითხვაზე რას გვიპასუხებენ გზის ორივე მხარეს მდებარე სოლიდურ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები?

კუკური თორღია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი.

იბეგრება

ქტატებს ელის ვაკანტურებს და თავს ნულა აკანტურებს.

არ უსინჯავს ეტიკეტებს, ისევ იცვამს ქეთი „კეტებს“.

დაიცვა სხვისებრ ფაციამ წყალწყალა დისერტაცია.

ფულს არ ზოგავს სამკეცს, ნიკო, თუ იშოვის სანტექნიკოსს.

მისი ჰობი, გატაცება მანქანების გატაცება.

დააგროვებს ნაგავს სოსო, მერე შით რომ ავაკოსოსო.

რომ არ იყო მეტი ჩარა, გამგედ დასვეს მეტიჩარა.

ისევ ცლიდა კოლა კულას, არ ტოვებდა მოლეკულას.

აბა, რა დასამალია — სპეკულანტობს აშალია.

თინა წითელხაველი

ჩვენი სტყუმართა 60 წლის ახალი თეიმურიზ ჯანჯუაშვილი

გეგმული შარგი
თ. შარგილიძისა

ინტერვიუ
ზინა ჯანჯუაშვილი


წყანის მიზანი

ის ჰანჯუაშვილი კი არა, მიწანსაც მუს არ აკარებს — „მოდო“ ჰევის თვალთვალში, „მოდო“ ტატრეჟინი ატარებს.

„კოლეგის“ კარიბი განსტერს და ეცნობა წვეს დიდ დროებას... მთლის კი ისე დასტავლა, — ის კარიბი ევირთება...

არც კარის განსართი წუხდება, — დღეში რომ მუდარ თვება, — მას ამ კარიბიან უღდება სტერის და მოყვრის მიღება!

მანინ აქვს წვეის მიზნი, აწუხებს მხოლოდ ორი რამ: ფეხით რომ ადის კიბეზე, ფეხით რომ მიდის ლობინთან



პირი 30663

რა ჟანს —
უვარს უქსოური
გეგმური და დღინი
შეუსტერდ წარმოქმნილი
პირიზული დიმიის.

ამ წიხნს

ამ წიხნს მიდრეული ფეხი აქვს მხოლოდ, ზედ ერთი ფეხი არ არის ვალბად! — ეს არის მისი თავი და პოლ, ფაისი ამიტომ დააფეს, აბლბა!

სიზმარი

ნიუმრისა



საპარიმანსარიუმი შეკვედი და თავისუფალ საპარემლი ჩაუკვეთი. პარიმანსარმა მღვდს შემანინა, ისე იყო ადუღეუული ვიღვის სველიადა აუ-გად ისხნებოდა. — პოლის და პოლის, არც რსტვე-ნიათი — ამბობდა და სანათებელს ხან-ჯალღით ატრიალებდა, — მოკლენ, პა-ტრესა ვიგე, გავაღამაზე, ჰუდრისა და ოფელოვინს არ მოვაკლავ და რითი მისიდან მადლობას? — მაისორიდან მიკლიან, — ამოიღებენ ფულს და მა-ჩენებენ, რაია, მამა! მე ჩემი შრომის საფუტრს — ხელფასს ვიღვს. ჩემი შრომა ამ ჩემიმი ადირიფებია, მსწერი კი ზედმეტ ფულს ხან ხელში მამჩენენ და ხან ხალხის ვიბეში უწერად ჩა-ყოციებას დღობენ. მე სამასობორი არავალი შვირის!

სტრა არ იყო, შევუქირიანდი, აგრე-რივად ადუღეუულმა და აღმოფიქრე-ულმა უღვაჟები არ დამიმანსარეს-მეთ-ქი, მაგარამ სიტყვას როგორ შევებდა-ვდი. ის კი არ ცნებოდა:

— ამა, ერთი მოსართი, ეს უსინდი-სობა არ არის! ფულს ისე მოვაგებუნე, თითქოს თვითონა ურიღუნე. საამის ვუ-მამა დღობატრის, ვიღე თუნდაც ასეთი რამეს გათქმებულის, თანეული დავიხარ-დრის, ვინც ასეთი თვალთი შევომხე-დავის თავი გაუხნის იმას!

პარიმანსარისათვის ზედმეტად მისა-ცემ მიხედავის ხელი ზედვიდა და სა-პარიმანსარისად გამოეფიდი. ქუჩას გა-ეყვი. უცემ იმ ქუჩაზე მუდგარა რესტორ-რის კარიბიდან ოფიცინტი გამოვარდა და ვივრისი — მოქალაქე! მოქალაქე!

გამკულეში ვიღე შეპარა.

— ბატონო, თქვენ ზედმეტად მომივით ორმოცდასამი კამიკი დიანორუთი, მაგ-არამ იფიდე, თუ ეს შემთხვევითი მო-ვდივია, გასატეხთ, თუ არადა, შე-ურისესუფისათვის მასტრს ვაგებინებ! — რა მიზნა? — დემთმა კეთილად მოგასმარის!

— როგორ თუ რა მიზნა? — აღვირ-თდა ოფიცინტი. — თქვენ უსინდისო-ადამიანი ვიღვლებართ იმა, თქვენ გა-წერილი ვინაშე ფული ხომ ვუწვივინებთ? ახლავუ მილიონში მიგასმარებთ და ამ წვრილმანი ხულიგიზმისათვის ხუთ დღე და დამეს რომ მივსივინა, მამინ ისწავლით ჭკუას!

რესტორის კარიბიდან სხვა ოფიცინ-ტებიც მოვაროვდნენ. აუვლანი ხერეუ-ლოვდნენ:

— რა ზღვება, როდის უნდა ვასწავ-ლო ამ ხალხს ანგარში, რომ ზედ-მეტე ფული აღარ ვაგმოფიქვოლონ! — ამ დროს ტაქსი შეჩერდა ტროტუა-რის მხრს. ის-ის იყო, მეზავრმა კარი გამოიღო და ჩამოსვლა დაიპირა, რომ ტაქსის მძღოლმა მარცხენა მკლავში ხელი სტავა და თავისივე ლინივრად მიქას.

— ეს როგორ ვაგებდეთ? — მისისხ-ნედ წამოიხარა მძღოლმა. — შირიწვე-ლმა სანოქალაქი კამიკი დღვრე, თქვენ კი აქ ორი მანეთი დამიღეთ! რაკი ასეა, მანქანიდან არ ჩავივლით, მანეთისა და ოფიდალი კამიკისაც უნდა გატაროთ! რაო, რა თქვითი! აქ პაემანი გაქოთ ნინშეული და დავაგვიანდებით! მით უკვობი, ვეგე ამის მერე მანინ ისწავ-ლით ჭკუა!

მძღოლმა შორტორი ჩართო და მანქანა ქარივლი მიწეა აფიქვლან.

... დუგრად თვალთი მოყოფმინტი და გამოშვებია.

ტომი — ტომარა

რაც ენაზე დაღდება, რაც ენაზე წივრის მოაწუნდება, დაწერს, ან რატომ არა? — ხომ ფელოვარის ანტარია, ხომ ფელოვარის დამტეგია ტომიუელი — ტომარა!

ნაწამიზა



არ გვერონი პარადოქსი: ხული ჩაგარა დოქსი... და ჩაგარა უღეს ჩოქსი, მძიმე შოქი, ეს სანქსი... ელმოვლერიღ ღვინის დოქსი, ღვინის ნაქვლად, ესხა წყალის...

ლოთის მოწოდება, ანუ რითმის პარიმანი

ყოველთვის უნდა ვაყო-სხალი უღვრო, ვაყო!

შეუამ სისხლვეჯ: უარყოზა არის ცხოველის ვაყოფო!



ინცხინი შავ ზღვანე

ეს პინჯვინი ერთ კარვ დიღას მოკლინის ხელ შუვის პირას. მისივლა, მისივლა და ვაკივრად მართლაც დიღად, თქვა: — რა დარბი მხარეში ვარ, ფუსს, ჩემი ანტარტეფია!

სტუენრიო ლექსი

ცხდასამი წლის წინაი დანე-რილ ამ ლექსს ჩემს ხელსწერებში წა-ვანული. ლექსისთვის ებიგარად მიმი-ცია შერეალა კაქმირში გამოკრული განსაღვება: ტრადება საზვარდო ტურ-ნარი შეურალა კაქმირის პირველი-საზე ტურნარი დიწვირე 7 მაისს. თამა-ხები ტრადება ფედალელე ვარდა კე-არისა, 15-დან 17 საათამდე! ლექსში მისხტეზული არიან ტურნარის მონა-წილე შერელები: ოთხა ვაკელი ვრო-ვულ ამბიმიტ ტრეზია ქარეღიშული, გელზბარ ზედინიტი, ნოდარ გურეში-ლი, შურბა ლორთქიფანიტი, გივი ვი-გინაიფი, ვასო ურეგულეღიფი.

შერეალი მხედრობა ვაეიდა ლამაზეუ ჰუფარის დღესაზე... (ორვეუ და მოუხმავიტი ტურნარის ცბრილი დასაზე).

რომ ვაეივა ვაეინ, ამბობს ვაკელი ოთხა: — ვკო მეს, ვინე არ ოთხა და საქმე ვაეიოლა!

ურტორიოვად ვანარებ წენ ხუსუსხა და ჩემ რიოხს, ნინსახან ჩემიომად მიქვას, სხვას ვიღას ნახავი ჩემიომინს!

გვ. ამბიმიტ, — ხამ დროში ფიქსირი რომ თიკი იფიდა, — ფიქსელ ბრძოლის ველს დაჭეკურებს ხეოლის პირამიდიდან!...

— აუი, ჰუდრარკო, რად ვაყო? ველი თუ მტვირანი დამინდა? ქარეღიშულია ქარივტი დაჭეკურებს ჩამორეალა რაშითა.

ვლ. ზედინიტიც, ამაკარი მონისომასხელი მირტე; პირველი რომი ნანავე? — შილო ორს მონე მოივავ!...

და სავარდარკო მაეიღის ნამდვილ ენაშენ და შილო არი — ვარდა, ხე ლექსის მუღვალი, უელსხეოვინი ნოდარი.



ფიქსიბს ზურამიგ — ზურამიგ ცილიანდ გამოქვეული, ხელში უჭირავს პაიტი, ვით ვაწე წამოქვეული.

უხარის გოგინაშვილს, რომ მისი შრომა დღესდა, დღესთან ვღვება ვანია, ვით ვარე-კვირის ტფხსთან.

— ლექსები, ვკომიტი, პოსტის ვიტეკეტი ველვებს — ათასგული რომანივი ვაეკეც და მოსორბეც; შიშობელი ხალხიც ვაეყავეს!

სხვა რაღა ვინდა, რას სწესხარ! — ველი მთეუე ნებასა! ახლა შერეალი ვალს მოუვხლიტი ჰუდრარკის ხელოვანებას!

მეგობრული შარგი შვირალ

თინათი გომოლაპისა
ილუსტრაციები
ჯეპია ლოლასი

ლიახისკვეპათის მილიონები

ზოგს ჰგონია, მილიონები მარტო მიწისქვეშ იმალება, კონსპირაციის მიზნით ასე უკეთესია; კაცს მათხოვარი ჰგონიხარ და არ იცის, რის პატრონი ხარ, რას უტოვებ შთამომავლობას! მაგრამ ასე კერძო პირები ფიქრობენ, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს რა ენაღვლებათ! ალბათ ამიტომაცაა, რომ ბოლო ხანებში ჩვენში ფეხი მოიკიდა მილიონების გამოფენამ ღია ცის ქვეშ, სახალსოდ თანაც გამოფენა მუდმივია, მისი ნახვა შეგიძლიათ უფასოდ, წელიწადის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ამინდში. დაწესებულებებს შორის თავისებური შეჯიბრებაც კი იმართება, ვინ მეტ მილიონს გამოფენს გარეთ.

როგორც რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, ამ მხრივ, ჯერჯერობით პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სამმართველოს „საქმედტექნიკის“ ცენტრალურ საწყობს (გამგე - ოპანესიანი). ამ საწყობს წლების მანძილზე დაუგროვებია და თამამად გამოუფენია ღია ცის ქვეშ ხუთი მილიონი მანეთის ზენორმატიული ნაშთები. პირდაპირ გადასარევი სანახავია მისი ეზო. ამ მდგომარეობას ქაოსი რომ დაარქვა, ეს ერთი სიტყვა უძლური აღმოჩნდება სინამდვილის გამოსახატავად; ჩანს, ახალი ცნება უნდა დავამკვიდროთ: ქაოსის ქაოსი!

არავინ იფიქროს, თითქოს პროდუქციის ღია ცის ქვეშ უწესრიგოდ მოფანტვას ანუ, როგორც მოკლედ ითქმის, დაყრას დადებითი შედეგებიც არ მოჰქონდეს საწყობის მესვეურთათვის. ჯერ დალოცვილი თოვლი და წვიმა რომ ამოიდებს ფეხქვეშ მილიონობით მანეთის პროდუქციას, მერე უფრო დალოცვილი მზე რომ დააჭერს ცხოველყოფელ სხივებს და ჟანგისფრად ააბიზინებს იქაურობას, ავ თვალს უკეთესი რა დაენახება?!

კიდევ ერთი სარფიანი თვისება აქვს ამ მეთოდს: ხანძარი იცის, კაი მოზრდილი, მოვარდისფრო ხანძარი. მეხანძრეებს დომინოს თამაშს თავს ანებებინებს და შემთხვევის ადგილისკენ მიჰყავს. ორი საქმე კეთდება ერთად, მეხანძრე მოვალეობას იხდის და... ათასი მანეთის პროდუქცია რომ დაიწვება, აქტებში ორი ათასი მანეთისას ვერ უჩვენებ? აბა, ფერფლიდან და ნაცრიდან სინამდვილის ზუსტი დადგენა ვის მოუხერხებია? ხანძრებმა რამდენი კომბინატორი და გამფლანგველი გადაარჩინა პასუხისმგებლობას! ხანძარსაც უნდა მოუნახო კაცმა სასიკეთო წანამძღვრები!

ახლა წვრილმან ქურდებსაც გადავხედოთ: ყველას ხომ არა აქვს უნარი, სახელმწიფო ბანკების გაძარცვაზე იფიქროს? ხედავს, ტერიტორიაზე აწყვია პროდუქცია, თანაც ტერიტორია შილიფად არის შემოღობილი და სოროსავით ხვრელები აქვს. რა ქნას? სარგებლობს ამ ხვრელებით და იპარავს პროდუქციას, გაამტყუნებს ვინმე? სტატისტიკოსების ენით რომ ვილაპარაკოთ, 1981 - 1983 წლებში მარტო თბილისის საქარხნო რაიონის ორგანიზაციების ბაზებიდან დატაცებულია 700 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს ხომ შვიდი მილიონიაო, იტყოდა კაცი ოცდახუთი წლის წინათ, მაგრამ ძველ ფულზე ვინდა ანგარიშობს ახლა, წლები მიდის და ანგარიშიც ადვილდება. მართლაც, სად 700 ათასის, სად 7 მილიონის თქმა! ეს ფელეტონი იმ დროს რომ დაწერილიყო, მაშინ ხომ გარ-

კვეთ ვიტყოდით, რომ „საქმედტექნიკის“ ცენტრალურ საწყობს ხუთი კი არა, ორმოცდაათი მილიონი მანეთის პროდუქცია უფუჭდება? აი, ეს გვესმის, კაპიტალიზმში იყრება ზოგჯერ წყალში და განგაშს აგებენ სოლმე, თუ გადაყრას, გადაყრა ერქვას!


კი მაგრამ, მარტო ამ ბაზას რომ მიადევით და ასე თათხავთ, სხვაგან არ არის მსგავსი მდგომარეობა?! - იკითხავ, მკითხველო! ნაკლებად მძიმე მდგომარეობა როდია საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს უნივერსალ „თბილისის“ საწყობებში (დირექტორი - სეხნიაშვილი), ხილბოსტნეულის სამინისტროს ლილოს კომბინატში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ოთიურიძე), მშენებლობის სამინისტროს პირველ სახლთმშენებელ კომბინატში (დირექტორი - ქორიძე), რკინბეტონის ნაკეთობათა მესამე ქარხანაში (დირექტორი - ყამარაული), საკავშირო ვაერთიანება „სოიუზრეაქტივის“ ქიმიური რეაქტივების, ხე-ტყის მომარაგება-გასაღების სამმართველოს, ცეკავშირის, ინტურისტის, საქტექვაერთიანების, საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს და ვაერთიანება „ვანთიადის“ ბაზებში.

დარჩა კიდევ ბაზა, სადაც ასეთი მდგომარეობა არ იყოს?! - კიდევ მკითხავ, მკითხველო! ოო, რამდენი შეკითხვა გიყვარს! ოო, როგორი ჩაცხება იცი! როგორ არ დარჩა, დალოცვილო, ბაზების მეტი რა არის და უწესრიგობის მეტი რა არის ამ ბაზებში! აბა, დიდუბისა და ავჭალისაკენ გაიხედე! აბა, ქალაქის ნებისმიერ უბანში მდებარე ბაზებსა და საწყობებს მოავლე თვალი და ნახავ, როგორ გროვდება და იზრდება ღიაციისქვეშეთის მილიონები! მაგრამ ყველა ბაზასა და საწყობს ერთად და ერთ დღეში ხომ ვერ შეამოწმებ? ჯერჯერობით საქარხნო რაიონში მდებარე ბაზები და საწყობები შემოწმდა. მადლობა ღმერთს, რომ არც ბაზები გვაკლია და არც შემოწმებულები, ხვალ აღარ გინდათ, „ნიანგის“ ფურცლებზე შევხვდეთ ერთმანეთს?


გიზა მახვილაძე

22. 592 მანეთი გადაიხადეს სოხუმის პირველი საქალაქო საავადმყოფოსათვის შეძენილ აპარატში „რენტგენ-30“. ეს იყო 1981 წელს, როგორც ჩანს, აქ ეს დანადგარი სულაც არ სჭირდებოდათ, რადგან ახლაც დარსა თუ ავღარში საავადმყოფოს ეზოში დგას.

გაზეთებიდან.



გაშუქება



— წნევა დაბალი აქვს. ქალბატონო, შავი ღვინოა საჭირო!..

რეკორდი

პართულ ქალენდარში, „ბუნების საოცრებათა“ რუბრიკით, დაბეჭდილია ცნობა „ჩვენი ფაუნის რეკორდსმენები“. ცნობაში ნათქვამია: „წინათ ფიქრობდნენ, რომ უწყლოდ ყველაზე დიდხანს აქლემი ძლებდა — დაახლოებით ორ კვირას. ახლა კი დაადგინეს, რომ მექსიკურ ციყვს სამი თვის მანძილზე შეუძლია არ დალიოს წყალი“.

ეს რა რეკორდია?! ქება და დიდება მექსიკურ ციყვს, რომელმაც უდაბნოს მეფის რეკორდი მოხსნა, მაგრამ ეს რაა?! თბილისში, საბურთალოსზე, პავლოვის ქ. № 29-ის მე-2 კორპუსის მეშვიდე, მერვე და მეცხრე სართულებზე მცხოვრები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აგერ სრული 10 წელია (ათი!) ვძლებთ უწყლოდ!

ცნობაში არაა აღნიშნული, რა ცენზი აქვთ იმ აქლემსა და ციყვს, ჩვენ კი დაღლილ-დამამუვრალნი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი ვართ — პროფესორები და დოცენტები. არც ისაა დაზუსტებული,

ფაუნის რეკორდსმენებმა მხოლოდ სასმელი წყალი მიიკლეს თუ ცხელი წყალიც. ჩვენ კი არც ერთი არა გვაქვს და ვუძლებთ! უფრო მეტიც — გადასახადსაც ვიზდიო!

საკითხავია, როგორ მოახერხეს ხსენებულმა ცხოველებმა, რომ მათი რეკორდი საქვეყნოდ განმაურებულიყო, მაშინ როდესაც ჩვენ ხშირად ვატყობინებთ ხოლმე შესაბამის ინსტანციებს, მაგრამ არც არავინ დაინტერესებულა და არც რეკორდსმენების სიაში შევუყვანივართ, როგორც ის განდიდების მოსურნე აქლემი და ციყვი.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?! თუ საქმეს არაფერი ეშველება, დროა ჩვენი რეკორდიც დაცვიფრდეს, სანამ კიდევ არ წამოგვასვამენ თავზე უდაბნოს რომელიმე ბინადარს ან მეტიჩარა სინდიოფალს!

პავლოვის ქ. № 29-ის მე-2 კორპუსის მცხოვრებთა სახელით —
ივანე არისტოტელიძე — მრავალი მეცნიერების დოქტორი, პროფესორი.



— მიღებას აღარ გთხოვთ, პატივცემულო, ეგებ ის მაინც გვიბრძანოს, რა ანგარიშია?

ლირექტორის კრიტიკა

ადის ბარდლა ტრიბუნაზე, ბრაზობს, ცხარობს და შლის ხელებს, ქურდობის და მტაცებლობის ვითომ მიზეზს ასახელებს.

მკაცრად კიცხავს მექრთამეებს: — „ლირექტორი ხე-ტყის ბაზის ურჩია და თაენებაა, მთელ კოლექტივს თავზე აზის!

არ დაუშვებთ ქრთამობანას! სამუდამოდ აღვგვით მცდელებს!“ — ამბობს რისხვით, იმუქრება, თან უაზროდ აქნევს ხელებს.

მმართველის წინ მოკაკული ხმის კანკალით ამბობს კოლა:

— „მლიქვნელებს ნუ ვაბოგინებთ, მათაც გაუუმართოთ ბრძოლა! ჩვენს რიგებში ვერ დავტოვებთ, ვინც ყბედობს და ინტრიგანობს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას: ღირექტორიც არღვევს კანონს!

ტრესტში მკვდარ სულს ამუშავებს სამ ძმას (ორიც იკრძალება!) ხალხსო, ასე თვითნებობის ნეტავი ვინ მისცა ნება?!“

კაბინეტში, ქაღალდებში ჩაფლული რომ აღარ მოჩანს, ტრიბუნაზე გამოდის და გაბედულად ამბობს გოჩა:

— „ბიუროკრატს აქვს უფლება ჩვენთან შრომის, ჩვენთან ყოფნის? ყელამდე!.. რაც შეჭამა, მოინელოს! აღარ ჰყოფნის?!“

მუდამ მთვარლი ჯაჭაშვილი, ყოველთვის რომ აცდენს კრებას, ტრიბუნიდან გადმომდგარი არ იმურებს მოწოდებას:

— „რატომ ვარცხვენთ ჩვენს კოლექტივს? რად ვაყენებთ ჩრდილს ჩვენს ქალაქს?!“

ღირექტორი ხულიგან შვილს ხელს აფარებს, ჩუმად მალავს!“

წარბეჭერული იპოლიტე ასეთ ლოზუნგს ისვრის მკავხედ:

— „ღირექტორი ვაკრიტიკეთ, რიგით მუშაკს ხელს ნუ ვახლებთ!“

ტრიბუნაზე გამოვიდა ბოლოს ერთი ორატორი:

— „ღირექტორი მოსხნილია!“ — თქვა მან სიტყვა ორად-ორი!..

ზაალ გასუბიშვილი

არის ფაქტი!..

ცხაკაიას რაიკოლოპერატივის საზვეების გაერთიანების სოფელ ნოსირის ცენტრის სასადილოს მზარეული ბესარიონ მეტრეველი და სოფელ თეკლათის სასადილოს მზარეული ლარისა ცომანი კერძებს ამზადებდნენ კალკულაციის ნორმების დარღვევით. ორივე გათავისუფლებულია სამუშაოდან.

აღალ ულუფას ის, ვინც აკლებს ხორცს, ცხიმს და საკაშმს, ვერ აიცილებს სირცხვილს, სასჯელს და მწარე სარკაშმს!


სოვის რაიონის კოოპუნეერაფაში:

გამყიდველმა ქობალია ლარისამ სახეიროდ მეტი ვეღარ გარისკა, „უცხო“ მყიდველს აღარ გაატანა. — გადამალა დიუჟინი დანა!

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სქურ-ლუგელას ჩამომსხმელი ქარხნის (წალენჯიხის რაიონი) ლიმონათის საამქროში ბოთლებს კარგად არ რეცხავენ. ამის გამო საწარმოში ჩამოსხმული ლიმონათის სარეალიზაციოდ გატანილ ერთ-ერთ ბოთლში მატლის ჭუპარი აღმოჩნდა. ამ ფაქტის მოწმე საწარმოს ხელმძღვანელებმა ყველაფერი ძირითადად მუშებს დააბრალეს, ხოლო თვით ფაქტი არც ისე საკვირველ და საგანგამო შემთხვევითობად ჩათვალეს.

რაც იხილეთ, არის ფაქტი! — არ გახვდეთ, ნუ ხართ უბრადა! რალად უნდა ამას აქტი? — ჭუპრია და რჩება ჭუპრად! ან რას გაწყენთ, ლიმონათში იყოს იგი, თუნდაც ტყუპად?! აწ ვერ ნახავთ ჭურჭელს შიგან მატლის ჭუპრთა ჭუპა-ჭუპას!

ანზორ ბარამია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი.



ნიანგს უპასუხებენ

„ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-6 ნომერში ათათურით — „უპიროპირობა“ — დაბეჭდილი წერილი გვაუწყებდა ქ. ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის მზა პროდუქციის საწყობის მშენებლობის ჩაშლას №5 სამშენებლო ტრესტისა და ტრესტ „საქოფლმშე-ბინდუსტრიის“ მიერ.

საქართველოს ასრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ რედაქციას მოსწერა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება და მათ აღმოსაფხვრელად გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი: ამ ობიექტზე 1982 წლის გეგმის ჩაშლის გამო მკაცრად დაისაჯნენ №3 ტრესტის თანამშრომლები. სასჯელი დაედოთ აგრეთვე ტრესტ „საქოფლმშენინდუსტრიის“ თანამშრომლებს.

სამინისტროს კოლეგიამ დაავალა ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციას, რომელთაც უშუალოდ ეხება ამ ობიექტის მშენებლობა. მიმდინარე წლის IV კვარტალში ამოქმედდა ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის მზა პროდუქციის საწყობის სიმძლავრე.

„ნიანგის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი — „ბარათები ნიანგს“, რომელშიც მხილებულ იყო შუახვევია რაიონის სოფ. ჩანჩხალის მოსახლეობის ცუდი სავტომობილო მომსახურება.

საქართველოს კომპარტიის შუახვევია რაიონული კომიტეტი გვწერს: ხანგრძლივი წვიმების შედეგად დაიშრება სოფელ ჩანჩხალის სამანქანო გზა. რთული რელიეფური პირობების გამო მოსალოდნელი იყო მაწის კვლავ ჩამოწოლა. რის გამოც, სპეციალისტების დასკვნით, მიწის მთლიანად გამოშრობამდე არ იქნა დაწყებული გზის აღდგენა. ხოლო გზის შეკეთების შემდეგ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელთა დაუდევრობით. კერძოდ, ავტობუსის შეცვლისა და მძღოლის შერჩევის გაქიანურების გამო გარკვეულ დროს სოფელში არ დადიოდა ავტობუსი, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

რაიონის ბიურომ განიხილა ავტოსატრანსპორტო საწარმოში შექმნილი მდგომარეობა და დასხვა კონკრეტული ღონისძიებანი რაიონის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი გაათავისუფლა თანამდებობიდან.

ამჟამად შუახვევიდან ჩანჩხალის მიმართულებით დადის კვ.688 ტიპის ავტობუსი.


„გოლი — საკუთარ კარში“ — ამ სათაურით მე-10 ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის საწარმოო გაერთიანება „თბილ-ლითონწარმი“ გვატყობინებს:

„უფრანდ „ნიანგის“ 1983 წლის მე-10 ნომერში მოთავსებულ წერილში „გოლი — საკუთარ კარში“ — გამოთქმული კრიტიკა №3 მექანიკური ქარხნის მიერ გამოშვებული საკეტების ხარისხზე სამართლიანია.

მომხდარი ფაქტი განიხილეს პარტიულმა და ადმინისტრაციულმა ორგანიზაციებმა. საკეტები კონსტრუქციულად მოძველებულია, გარდა ამისა, სათანადო ტექნოლოგიური დანადგარების უქონლობის გამო მათი ზოგიერთი ნაწილი მზადდება არასტანდარტულ მოწყობილობაზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიზუსტით დაცვას.

ამჟამად წარმოება გადადის ახალი ტიპის საკეტების დამზადებაზე, რაც უკვე დაპროექტებულია. ახალი ტიპის საკეტის ათვისებით უზრუნველყოფილი იქნება მისი საიმედოება და ხარისხი“.



— დარდით აღარა ვარ, ჩემს მეუღლეს მარილები დაგროვება აღმოაჩნდა!
— ნუ გეშინია, მაგისტვის არ იკერენ!

ენის გასატყუნი

- ვებარან ვეგეტარიანელ ვეტერინარს ბოსტნეულის მალაზიის ვიტრინა რეცე ასხამდა.
- მოარაულ მოლარეს მორალი რეალურად სალაროში მისვლამდე ეკარგებოდა.
- მიწოდებალი ბიკენტი მობანკეტებებს ბანკეტამდე აბანკროტებდა.
- პატენტინანი რეპეტიტორი არ ეპიტანეებოდათ და კომისიაში მაინც პათივისცემით ეპატიუებოდნენ.
- კოწო ამ წლის აწწლის არაყს ყლურწავს ყანწით.
- პატოს კატის კნუტები კოტესთან კრუტუნებენ.

გ. ცინცხალი



უსიტყველ



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 23 დეკემბერი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართია, ბორის გურგუღია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფჩივაძე, ნადი ჭუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი მინელი კუხალაშვილი


გადაეცა ასაწყობად 9. 11. 83 წ. ხელმოწერილია და საბეჭდად 1. 12. 83 წ. ქალაქის ზომა 60X90/, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-სავაგომოკემლო თაბახი 1,7 საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 2548. უე 07306 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, ვ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Рушавели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინფორმაცია 76137



თავისუფლების ქანდაკების პროტესტი



ნ. ბ. ლ. ხ. ხ. 199